MES 6 21 0000501200

31/05/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 14.05.2020
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 23:25სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი (II, III, IV)
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (I, V)
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

6. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
11. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
13. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
14. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
16. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	სოფო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ანკა თაბუკაშვილი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	I
2.	ნათია ვაჭარაძე	შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II

3.	ვლადიმერ მკერვალიშვილი	შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II
4.	ნინო სეფაშვილი	შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი	II
5	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III-IV
6	ოთარ გელაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი	III-IV
7	ნათია ბუთხუზი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III-IV
8	რაულ თურმანიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მექანიკის ინჟინერიის საწარმოო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი	III-IV
9	მერაბ შვანგირაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ,,მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია"პროგრამის ხელმძღვანელი	III
10	ხათუნა ამყოლაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ,,მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია"პროგრამის ხელმძღვანელი	III-IV
11	თამაზ მჭედლიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ,,მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია"პროგრამის ხელმძღვანელი	III-IV
12	ნუგზარ სხირტლაძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში;	V
13	დიანა მჭედლიშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	V
14	იოსებ ბერიკაშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ეკონომიკის სკოლის დეკანი	V
15	ვანო ბენიძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	"ეკონომიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნატალია თვალჭრელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
2	ლელი ბიბილაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
5	ომარ კიკვიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
6	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
7	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
8	ბექა მარუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
9	თამარ ღუღუნიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1.შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის "პოლიტიკური პიარტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4.შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ეკონომიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1.შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2.შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის "პოლიტიკური პიარტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5.შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ეკონომიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პირველი საკითხი: შპს თავისუფალი უნივერსიტეტის ,,სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	5/05/2018 N66
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	45
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 240, თბილისი 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

2021 წლის 29 აპრილს გაიმართა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა, სადაც მეხუთე საკითხად განიხილებოდა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა“ სადოქტორო

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგები. აღნიშნულ სხდომაზე საბჭოს მიერ ვერ მოხდა გადაწყვეტილების მიღება, რადგან აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4 -ით, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში კი დამსწრე წევრებს შორის ხმები გაიყო და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდო მომდევნო სხდომისთვის - 14 მაისს, სადაც დამატებით მოისმინეს დაწესებულების პოზიცია და განიხილეს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:05
დასრულების დრო: 16:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თავისუფალი უნივერსიტეტის ,,სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვის საკითხი, კერძოდ დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად 60 დღის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტისა და 31-ე მუხლის 24-ე პუნქტის საფუძველზე, შპს თავისუფალ უნივერსიტეტს განესაზღვრა 60 დღიანი ვადა ,,სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

მეორე საკითხი: შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის "პოლიტიკური პიარტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკური პიარტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	

		საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	0414 - მარკეტინგი და რეკლამა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ N2, ქ. თბილისი; N1; 0177, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნატალია თვალჭრელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შემოწმება დაწესებულებაში განხორციელდა 2021 წლის 12 თებერვალს. კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, შეფასება განხორციელდა დისტანციურად, zoom-ის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. შეხვედრები შედგა სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომელნიც აგრეთვე ჩართულნი იყვნენ პროგრამაში შემავალი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში. შეხვედრა ასევე გაიმართა მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორთან ერთად მიმოიხილეს სასწავლო რესურსები და ონლაინ რეჟიმში გაეცნენ ბიბლიოთეკის საძებო სისტემას, ბაზებსა და პროგრამისთვის შექმნილ რიდერებს. აკრედიტაციის ექსპერტებმა, აგრეთვე ონლაინ, zoom პლატფორმის პირდაპირი ჩართვის რეჟიმში დაათვალიერეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიური ბაზა - აუდიტორიები,

ბიბლიოთეკა, ადმინისტრაცია და ა.შ. შეფასება განხორციელდა პროფესიულ, თანამშრომლობით გარემოში.

შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის "პოლიტიკური პიარტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატალია თვალჭრელიძემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სამაგისტრო საფეხურისათვის შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები;
2. აუცილებლად უნდა შეიქმნას პროგრამაზე მიღების დოკუმენტი, რომელიც გამჭვირვალედ ასახავს სტუდენტთა მიღების პროცესს და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების მოთხოვნებსა და შეფასების კრიტერიუმებს;
3. მიღების დოკუმენტი განთავსებული უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რათა უზრუნვეყოფილი იყოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობა;
4. აუცილებლია, შემუშავდეს ცალკეულ საგნებზე დაშვების წინაპირობები, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის თანმიმდევრული სტრუქტურა - კომპონენტები და კურსები გაიწეროს ზოგადიდან დარგობრივამდე (შესაბამისი წინაპირობების გათვალისწინებით), რაც წარმოადგენს სწავლების შედეგების მიღწევის ლოგიკურ წინაპირობას;
5. აუცილებელია გადაიხედოს პროგრამის შინაარსი და მისი სავალდებლო ნაწილი გამდიდრდეს ისეთი კურსებით, რომელნიც უზრუნველჰყოფენ პოლიტიკური კომინიკაციის სპეციალისტისთვის აუცილებელი უნარების განვითარებას;
6. აუცილებლია, გადაიხედოს სილაბუსებში შემავალი ძირითადი ლიტერატურა და ჩანაცვლდეს დარგში არსებული უახლესი და, რაც მთავარია, სამაგისტრო დონის ადექვატური და მრავალფეროვანი ლიტერატურით;
7. აუცილებელია, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილ იქნეს პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურით;
8. აუცილებლია, შემუშავდეს სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის კონცეფცია, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტების ადექვატურ ჩართვას კვლევითი მიმართულებით;
9. აუცილებელია, გადაიხედოს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციების სია, რათა სტუდენტების პრაქტიკა დაიგეგმოს იმ ორგანიზაციებში, რომელნიც ადექვატურია მათი დარგობრივი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის;
10. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების ერთ-ერთი ნაწილი აუცილებლად უნდა იყოს რეცენზირება დარგის სპეციალისტის მიერ, რაც უზრუნველჰყოფს სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით უნარების განვითარებას;
11. რიგ სილაბუსებში მიზანშეწონილია ფინალური დავალება სამაგისტრო დონის ადექვატური გახდეს;

12. აუცილებელია, გადაიხედოს შეფასების მეთოდები და სადაც საგნის სპეციფიკა იძლევა საშუალებას, ჩანაცვლდეს წერითი გამოცდით, რათა შეფასების მეთოდები უფრო გამჭვირვალე გახდეს;
13. აუცილებელია დეტალურად გაიწეროს სტუდენტის ხელმძღვანელობის მექანიზმები სადიპლომო ნაშრომზე/პროექტზე/პრაქტიკაზე მუშობის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი, ნათია ვაჭარაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტება გააკეთა ექპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან მიმართებით. მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ფორმულირდება, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი და არა პოლიტიკური პიარტექნოლოგიების მაგისტრი. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა ეფუძნებოდა პრინციპს, რომ სავალდებულო კომპონენტში წარდგენილი უნდა იყოს ყველა ის ძირითადი საგანი, რომელიც სტუდენტს საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს მიანიჭებდა. სწავლის სფეროს კლასიფიკატორის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები შეესაბამება დეტალური სფეროს სვეტებში კლასიფიცირებულ სწავლის სფეროებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ძირითადი შინაარსი შეესაბამება ამ დეტალურ სფეროს და მისი ხვედრითი წილი 50%-ზე მეტია. შესაბამისად, სავალდებულო სასწავლო კურსების ერთობლიობა სრულად შეესაბამებოდა პროგრამით გათვალისწინებულ აკადემიურ ხარისხს. ნათია ვაჭარაძემ განაცხადა, რომ როგორც ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში აღნიშნა, რომ პროგრამაში კომპონენტის აღწერით ნაწილში არ იყო კურსი სახელწოდებით ,,ონლაინ მარკეტინგი", თუმცა ისწავლებოდა კურსი ,,ონლაინ მარკეტინგი", რომელიც ინტერნეტ მარკეტინგის ანალოგი იყო. ნათია ვაჭარაძემ დამატებით აღნიშნა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობების ონლაინ ტექნოლოგიების, სოციალური მედიისა და ღონისძიებების დაგეგმვის საკითხებს მოიცავდა ინტეგრირებულად შემდეგი სასწავლო კურსები: ,,Public Relations Writing", ,,საზოგადოებასთან ურთიერთობა", ,,სახელმწიფო სტრუქტურებისა და თვითმართველობების საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობა", ,,მედია წიგნიერება და ციფრული მოქალაქეობა", ,,საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პიარი", ,,პოლიტიკა და მედია", ,,ბრენდინგი", ,,კრიზისების მართვა და კომუნიკაცია", მედია საერთაშორისო ურთიერთობებში", ,,მოლაპარაკების წარმოება".

ნათია ვაჭარაძემ განაცხადა, რომ ექპსერტთა ჯგუფმა კომპონენტის აღწერით ნაწილში მიუთითეს, რომ პროგრამა არ მოითხოვდა სტუდენტისგან სამაგისტრო ნაშრომის დაწერას. ანგარიშისა და პროექტის დებულება ბუნდოვანი იყო და შესაბამისად, გაურკვეველი რჩებოდა, რამდენად უზრუნველყოფდა სტუდენტებში კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც აუცილებელი პირობა იყო სამაგისტრო პროგრამისთვის, აღნიშნულთან დაკავშირებით ნათია ვაჭარაძემ განმარტა, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე საკვალიფიკაციო ჩარჩოზე დაყრდნობით, მაგისტრანტმა უნდა შეძლოს უცნობ ან მულტი დისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება. მისი განმარტებით, აღნიშნული არ გულისხმობდა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო კვლევის განხორციელების ვალდებულებას. თუმცა მოცემული პროგრამა სტუდენტებს კვლევით უნარებს სხვადსხვა სასწავლო კურსის, პრაქტიკის კომპონენტითა და პროექტის შესრულების შედეგად უვითარებდა. პრაქტიკის ფარგლებში, სტუდენტები იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, სოციალური კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები. მათ მიერ

შესრულებული პროექტის შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი კრიტერიუმი, როგორიცაა მაგალითად ,,გამოყენებით ინოვაციური მეთოდები“, ,,თანამედროვე მეთოდები“, რაც უდავოდ კვლევითი უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული.

ნათია ვაჭარაძემ განმარტება გააკეთა მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სილაბუსების აბსოლუტურ უმრავლესობაში გამოყენებული იყო უახლესი ლიტერატურა. რამდენიმ ძველი გამოცემის გამოყენება განპირობებული იყო კონკრეტული საჭიროებებით. მან დამატებით აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, დარგობრივი ლიტერატურა ქართულ ენაზე არ არსებობდა, ამიტომ დაწესებულებამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქართულ ენაზე გამოსული რამდენიმე გამოცემის ჩართვა მხოლოდ კონკრეტული მიზნით. სხვადასხვა სასწავლო კურსში ერთი და იგივე მოვლენა გაშუქებული იყო სხვადასხვა კუთხიდან ამ მოვლენათა წახნაგოვნების გათვალისწინებით, რაც დაწესებულების აზრით დუბლირებას არ ნიშნავდა, ხოლო ლიტერატურის გამეორების შემთხვევაში მითითებული იყო შესაბამისი თავები ან გვერდები.

აღსანიშნავია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ნათია ვაჭარაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ამ ეტაპზე უზრუნველყოფილი იყო პოლიტიკური პიარტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სასწავლო ლიტერატურით. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას მათ მიერ მოთხოვნილი სასწავლო რესურსებიდან რამდენიმე მათგანის მოძიება მართლაც ვერ მოხერხდა. თუმცა ამის მიზეზი იყო არა რესურსების არქონა, არამედ მათი არაზუსტი დასახელება.

ნათია ვაჭარაძემ მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტის მიერ რეალური პროექტის მომზადება კვლევით უნარების განვითარებას გულისხმობდა. პრაქტიკის სილაბუსში მითითებული იყო, რომ პრაქტიკის პროცესში გამოიყენებოდა ყველა ის აქტივობა, რომელიც სტუდენტს აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად ან თანამშრომლობით შეასრულოს ესა თუ ის სამუშაო. გამოყენებული იქნება მაგალითად ვერბალური, წერითი, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზის და სინთეზის მეთოდი, სოციალური კვლევით მეთოდები და სხვა. პიარ პროდუქტის მომზადებისას გათვალისიწინებული უნდა იყოს პროდუქტის მომზადებისთვის საჭირო ყველა კომპონენტი.

ნათია ვაჭარაძემ მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციების რაოდენობა და მრავალფეროვნება მიაჩნდა ერთ-ერთ ძლიერ მხარედ, რადგან სწორედ აღნიშნული მისცემდა სტუდენტს შესაძლებლობას, აერჩია მისთვის საინტერესო კონკრეტული საკითხი ან მიმართულება და შესაბამისი პროფილის პრაქტიკის ობიექტის არარსებობა არ გამხდარიყო ბარიერი. მით უმეტეს, პროგრამა იძლევა საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრის ზოგად კვალიფიკაციას და პროგრამაში ჩართულია ისეთი საგნები, რომელიც შესაძლოა არ უკავშირდებოდეს პიარტექნოლოგიებს, მაგალითად იმ სტუდენტებს, რომლებსაც აინტერესებთ პროექტი მოამზადონ ბრენდინგის ან მარკეტინგის მიმართულებით, პრაქტიკის ობიექტად შეეძლებათ აირჩიონ საბანკო სექტორი, სუპერმარკეტი ,,გუდვილი“ ან რომელიმე აფთიაქი.

მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ნათია ვაჭარაძემ განმარტა, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტთა ჯგუფი ასრულებდა პრაქტიკული ხასიათი მქონე პროექტს, დამოუკიდებლად და საერთო ხელმძღვანელობას მათ პრაქტიკის ხელმძღვანელი და მენტორი უწევდა. თავად პროექტის სპეციფიკა კი რეცენზენტის ჩართულობის გამორიცხვის შესაძლებლობას წარმოშობდა.

მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლის შედეგების შეფასებისთვის სილაბუსებში გამოყენებული იყო სხვადასხვა მეთოდი.

თითოეული მათგანი ითვალისწინებდა შეფასების ისეთ კრიტერიუმებს, რომლებიც საშუალებას იძლევა სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო ადეკვატურად შეაფასოს და შესაბამისი შედეგები განსაზღვროს. აღნიშნული მეთოდები გამოიყენება როგორც დასკვნითი, ისე შუალედური შეფასების მიზნით. მნიშვნელოვანია ე.წ პროექტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში უფრო ეფექტიანად აფასებს შესაბამის უნარებს, ვიდრე ზოგიერთი სხვა მეთოდი, თუმცა მათი ერთობლიობა სწორედ სამაგისტრო დონის შედეგს იძლევა.

რაც შეხება მე-12 რეკომენდაციას, პოლიტიკური პიარტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის 23 სავალდებულო საგნიდან რომლებიც პასუხს აგებენ სწავლის შედეგების მიღწევაზე, 22 შეიცავდა გამოცდაზე წერით მეთოდს. მხოლოდ ერთი კურსი საჯარო გამოსვლა მისი სპეციფიკიდან გამომდინარე არ შეიცავდა შუალედურ ან ფინალურ გამოცდაზე წერით კომპონენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდებაა ,,პოლიტიკური პიარტექნოლოგიები“, მისანიჭებელი კვალიფიკაციაა საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი. შრომის ბაზრის დოკუმენტში მითითებული, იყო რომ პოლიტიკური პიარტექნოლოგია საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისთვის და გამოკითხული იყო მხოლოდ 10 დამსაქმებელი, რომელთა სახელებიც არ იყო მითითებული. გარდა ამისა პრაქტიკის სასწავლო კურსის ფარგლებში ჩამოთვლილი იყო ,,ორი ნაბიჯი“, ,,გუდვილი“, სუპერმარკეტების ქსელები. აქედან გამომდინარე საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ რა კავშირია პილიტიკურ პიარტექნოლოგიებს, საზოგადოებასთან ურთიერთობებს, პოლიტიკურ პარტიებსა და პრაქტიკას შორის, რომელიც ხორციელდება სუპერმარკეტის ქსელებში, რაზეც აპელირება ხდება შრომის ბაზრის კვლევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემული იყო შემდეგი ჩანაწერი, რომ სამაგისტრო პროგრამა კი მეტწილად შეესაბამება სტანდარტებს, თუმცა, საჭირო იყო მეტი მუშაობა და აუცილებელი იყო სწავლების მეთოდოლოგიის ორგანიზება. ექსპერტები ასევე მიუთითებდნენ, რომ ხარვეზის გამოსასწორებლად საჭირო იყო ერთი წელი. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ.
საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ყურადღება გაამახვილა ,,რესურსების მართვის“ სასწავლო კურსის სილაბუსზე, რომელშიც მითითებული იყო 1999 წლის ლიტერატურა, რაც მოცემულ სფეროში განსაკუთრებით, საკმაოდ მოძველებული იყო. აღსანიშნავი იყო ასევე ,,ინტერნეტ მარკეტინგის: სასწავლო კურსი, სადაც მოცემული იყო 2009 წლის ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა ვერ გადიოდა 0414 - მარკეტინგი და რეკლამა კვალიფიკაციაზე. მან დამატებით აღნიშნა, რომ 0414 - მარკეტინგი და რეკლამა შეისწავლის ორგანიზაციებს ან ინდივიდებს შორის პროდუქტისა და მომსახურეობის გაცვლის ხელშეწყობას, ასევე მომხმარებლების ქცევასა და მოთხოვნილებებს. პიარ ტექნოლოგიები კი რადიკალურად განსახვავებულ საკითხებს მოიცავდა. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, პროგრამის 0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრივი საფუძვლების შიფრში განსაზღვრა ორგანულად ჩაჯდებოდა და იქნებოდა შესაბამისი.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა არ ითვალისწინებდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, დებულებაში მოცემული იყო რომ პროგრამა მოიცავდა კვლევით ნაწილს. პროგრამა შედგებოდა პრაქტიკული და სასწავლო

კომპონენტებისაგან, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რატომ არ შეიძლებოდა სამი კომპონენტის განსაზღვრა, ვინაიდან პიარ ტექნოლოგიების სფეროც ასევე საჭიროებდა კვლევას. მან დამატებით აღნიშნა, რომ სამაგისტრო დებულებაში არ გვხვდებოდა არც ერთი მუხლი პლაგიატთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა ექსპერტთა რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის მიღების გადაწყვეტილებამდე დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილება განათავსოს ვებგვერდზე სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით ინფორმაცია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ 0414 - მარკეტინგი და რეკლამა კვალიფიკაციას აკლდა რიგი სასწავლო კურსები. შესაბამისად, გაუგებარია თუ რატომ იყო არჩევით სასწავლო კურსებში შეთავაზებული ის საგნები რაც კვალიფიკაციისთვის იყო აუცილებელი.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაღანიძემ აღნიშნა, რომ ეჭვქვეშ იდგა შრომის ბაზრის კვლევის ვალიდურობის საკითხი, რადგან გამოკითხული იყო მხოლოდ 10 დამსაქმებელი. გარდა ამისა კვლევაში არ იყო მოცემული დამსაქმებელთა სია. მან ყურადღება გაამხვილა, რომ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული ინფორმაცია დოკუმენტურად არ იყო მოწოდებული, ასევე მონაცემები იყო არაერთგვაროვანი. საყურადღებოა ასევე, რომ აკადემიურ პერსონალს შორის პიარის სპეციალისტების ნაკლელობა იყო. შესაბამისად, ნინო ჭალაღანიძემ მიმართა დაწესებულებას თუ რამდენად რელევანტურად მიაჩნდათ პიარის მიმართულებით, თემასთან დაკავშირებული საგნების წაკითხვა არა სპეციალისტებისა და პრაქტიკოსების მიერ.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ მოუწოდა ექსპერტებს განემარტათ თუ რას გულისხმობდნენ შემდეგ რეკომენდაციაში - „რიგ სილაბუსებში მიზანშეწონილია ფინალური დავალება სამაგისტრო დონის ადექვატური გახდეს“. მან დამატებით ყურადღება გაამხვილა, რომ პირველი პრაქტიკის ფარგლებში სახეზე არ იყო კვლევითი კომპონენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატალია თვალჭრელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურა იმგვარად იყო აწყობილი, არც ერთ კურსს გარდა ერთის კურსისა და პრაქტიკისა. დაშვების წინაპირობა არ ჰქონდა. მან დამატებით აღნიშნა, რონ უმჯობესი იქნებოდა, რომ არსებობდეს საგნების ქრონოლოგია და შემუშავებული იყოს დაშვების წინაპირობები.

ლიტერატურასთან დაკავშირებით, ნატალია თვალჭრელიძემ აღნიშნა, რომ ის აუცილებლად საჭიროებდა განახლებას. მან დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამაში გაწერილი იყო არამიზანშეწონილი სახელმძღვანელოებიც. ნატალია თვალჭრელიძემ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუ დაწესებულებას სურს, რომ პროგრამა მიაკუთვნოს 0414 - მარკეტინგი და რეკლამას, აუცილებელი იყო რიგი ცვლილებების გატარება და სასწავლო კურსების დამატება, რომლებიც სავალდებულოა კვალიფიკაციაზე გასასვლელად. უცხოური პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირი იყო პოლიტიკური კომუნიკაციის რეკლამირებასთან ერთად სწავლება, თუმცა მოცემულ შემთხვევაში პროგრამა საჭიროებდა რიგ ცვლილებებს.

საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პროგრამაში არ იყო გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომის შესრულება. მან დამატებით აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმა საჭიროებდა სრულიად ცვლილებას. მისი განმარტებით, პროგრამა უნდა

განისაზღვროს 0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრივი საფუძვლების შიფრში, შესაბამისად არ დადგებოდა ეჭვქვეშ პროგრამის კვალიფიკაციაზე გასვლისა და შესაბამისობის დადგენის საკითხები.

ექსპერტმა, ნატალია თვალჭრელიძემ დამატებით აღნიშნა, რომ პრაქტიკის მიმართ მიდგომა ცალსახად შესაცვლელი იყო იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს მოცემული სფეროს მოთხოვნები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა აუცილებლად საჭიროებდა კვალიფიკაციასთან შესაბამისობის დადგენას, თუმცა 0312-ის განსაზღვრის შემთხვევაში უფრო ნაკლები ცვლილებების განხორციელება იქნებოდა საჭირო. პროგრამა საჭიროებდა რიგი საგნების დამატებას, როგორც მენეჯმენტის, ასევე ადამიანური რესურსების კუთხით.

ექსპერტმა, ნატალია თვალჭრელიძემ ასევე დამატებით განმარტა, რომ პრაქტიკის ნაწილი არ მოიცავდა შესაბამის კვლევით კომპონენტს.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით, ,,პრაქტიკა", რომელიც კვლევას მოიაზრებდა მე-5 სწავლის შედეგზე გადიოდა, თუმცა შეფასების რუკაში მოცემული იყო მხოლოდ სამიზნე ნიშნული. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა, პროექტი რა ფორმითაც იყო მოცემული პრაქტიკაში გადიოდა თუ არა სამიზნე ნიშნულებზე.

ექსპერტმა, ნატალია თვალჭრელიძემ განმარტა, რომ პრაქტიკა გულისხმობდა იმას, რომ სტუდენტი მიდის გარკვეულ ორგანიზაციაში, სადაც მუშაობს კონკრეტულ საკითხზე თუმცა რა მიმართულებით არ არის განსაზღვრული. სტუდენტი შემდგომ წერს პრაქტიკის ანგარიშს და პრაქტიკაში ჩამოთვლილი საკითხების შესახებ იცავს პროექტს. ექსპერტმა აღნიშნა რომ ანგარიში შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც აქტიურობა შეფასების დროს, თუმცა გაუგებარია თუ რატომ ხდება მისი დაცვა. პრაქტიკის ნაწილში კვლევითი კომპონენტი საჭიროებდა გაძლიერებას, რათა პროგრამა გავიდეს სწავლების შედეგებზე. პრაქტიკა და პრაქტიკის ანგარიში რასაც სტუდენტები წერენ ვერ მოიცავდა საკმარის კვლევით კომპონენტს.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით გარკვეული კომპონენტები ხორციელდებოდა ინგლისურ ენაზე, თუმცა არ იყო მოცემული თუ რომელი კომპონენტები ხორციელდებოდა ინგლისურ ენაზე და არც შესაბამისი სილაბუსები იყო წარმოდგენილი.

ექსპერტმა, ნატალია თვალჭრელიძემ განმარტა, რომ პროგრამაში მხოლოდ ორი საგანი იყო ინგლუსენოვანი და მათ ჰყავთ უცხოელი ხელმძღვანელი.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა ასევე ისაუბრა კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით და აღნიშნა, თუ როგორ ხდებოდა კვლევის შეფასება ჯგუფურად იმის დასადგენად თუ როგორ გავიდა თითოეული სტუდენტი სწავლის შედეგზე. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რატომ იყო მოცემული საკითხი განსაზღვრული რჩევებში და არა რეკომენდაციებში, ვინაიდან, როგორც წესი, კვლევით კომპონენტზე, სამაგისტრო ნაშრომში ინდივიდუალურად ხორციელდება შეფასება.

ექსპერტმა, ნატალია თვალჭრელიძემ განმარტა, რომ პიარში, როგორც სპეციალობაში გუნდურ მუშაობას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქედან გამომდინარე ნაშრომზე გუნდურად მუშაობა არ წარმოადგენდა პრობლემას. თუმცა ყურადღება გასამახვილებელი იყო ინდივიდუალური შეფასების ნაწილზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ მკერვალიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყო ორი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი, ესენია: ,,Public Writing", რომელსაც კითხულობდა ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი სკოტ ტალანი. ხოლო მეორე საგანი იყო ,,საარჩევნო სისტემები", რომელსაც კითხულობდა ნერმინის იჩი, რომელიც ხელმძღვანელობდა საერთაშორისო საარჩევნო ფონდს საქართველოში.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის საფუძველზე დაწესებულების მიერ მომზადდა შრომის ბაზრის მიმოხილვა და არა კლასიკური შრომის ბაზრის კვლევა. დაწესებულება ინტენსიურად აკვირდებოდა პროცესებს. დამსაქმებლები ასევე ჩაერთნენ პროგრამის შემუშავების საკითხებშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ თუ სად მუშაობდნენ პოლიტიკური პიარტექნოლოგიების კურსდამთავრებულები. მან დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ შრომის ბაზრის კვლევაში მოცემული იყო თუ რაოდენ საჭირო იყო პიარტექნოლოგიები პოლიტიკური პარტიებისთვის. თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ პოლიტიკური პიარტექნოლოგიების სტუდენტები პრაქტიკებს გადიან სუპერმარკეტებსა და ბანკებში. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ იგი გაეცნო სილაბუსებსაც და მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი კარგად იყო შედგენილი, ლიტერატურა საკმაოდ მოძველებული იყო.

პროგრამის ხელმძღვანელმა ვლადიმერ მკერვალიშვილმა განმარტა, რომ პროგრამის მომზადება მოხდა წინასაარჩევნო პერიოდში, პროგრამის ძირითადი დამსაქმებლები არიან სახელმწიფო ინსტიტუციები, პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკით დაინტერესებული პირები. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მას ჰქონდა წვდომა კონფიდენციალურ კვლევასთან, რომელიც არ იქნა დოკუმენტებში ასახული. აღნიშნული კვლევის შედეგად დადგინდა მოცემული პროგრამის აუცილებლობა საქართველოს ბაზარზე. სახელმწიფოს განვითარებას სჭირდება პოლიტიკური პიარ ტექნოლოგიების სპეციალისტები, ვინაიდან ძირითადი ხარვეზები გამომდინარეობს კომუნიკაციის არ ცოდნისგან. პროგრამა გათვალისწინებულია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც უნდა იყვნენ სტრატეგები და მრჩეველები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ გასაგები იყო პროგრამის კონტენტი, თუმცა გაუგებარი იყო რა კავშირშია აღნიშნული პროგრამა ბიზნეს ადმინისტრირებასთან. იმისათვის რომ პირი გამოვიდეს სტრატეგი, აუცილებელია იცოდეს სტრატეგიული მართვა, მაგრამ აღნიშნული არ იყო გათვალისწინებული პროგრამით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ მკერვალიშვილმა განმარტა, რომ ვინაიდან პროგრამა გადის საზოგადოებასთან ურთიერთობის კვალიფიკაციაზე, დაწესებულებამ მოიცვა ყველა შესაძლო დამსაქმებელი. მაგალითად გუდვილის შემთხვევაში, აღნიშნული ყველაზე დიდი დამსაქმებელია, რომელიც ბრენდინგის და რებრენდინგის კუთხით არის დაინტერესებული.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბრენდინგი და რებრენდინგი უფრო განსახვავებულ საკითებს მოიცავდა ვიდრე პროგრამის კვალიფიკაცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ მკერვალიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ ის პირები ვისაც აინტერესებთ პოლიტიკა და არა ბრენდინგი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრმა ასევე უნდა იცოდეს ბრენდინგის საკითხები, თუმცა ეს არ იყო პრიორიტეტული. პრიორიტეტი ენიჭება პოლიტიკურ პარტიებსა და სახელმწიფო ინსტიტუციებს.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაღანიძემ დააზუსტა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მემორანდუმები და მუშაობის გამოცდილება მსგავს ინსტიტუციებთან.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ძირითადად მემორანდუმები გაფორმებული იყო მედიასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობდნენ პოლიტიკურ საკითხებზე. ძირითადი დამსაქმებლები იყვნენ მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები, პარლამენტი, ასევე მერია, სასამართლო და რა თქმა უნდა პოლიტიკური პარტიები. პროგრამა მომზადდა წინასაარჩევნო პერიოდში, შესაბამისად დაწესებულებამ პოლიტიკურ პარტიებთან მემორანდუმების გაფორმებას მიზანმიმართულად აარიდა თავი. აღნიშნული გათვალისწინებული იყო არჩევნების დამთავრების შემდგომ. თუმცა ზეპირი შეთანხმება თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიასთან იყო, რომლებიც თავად იყვნენ დაინტერესებულნი მოცემული პროგრამით. გარდა ამისა ისინი ელოდებიან პროგრამის კურსდამთავრებულებს, რადგან სჭირდებათ ახალი ხედვის მქონე სპეციალისტები მოცემული მიმართულებით.

კვალიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ნათია ვაჭარაძემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ შეჯერება მოხდა, რომ პროგრამის გავლის შემთხვევაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია ყოფილიყო საზოგადოებრივი ურთიერთობის მაგისტრი, რადგან პროგრამის 0312 – „პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრივი საფუძვლების“ განსაზღვრის შემთხვევაში, მისი არსიდან და სტურქტურიდან გამომდინარე მკაფიო არ იქნებოდა. პროგრამა თვისობრივად პრაქტიკული ხასიათისაა, შესაბამისად, კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მე-7 დონის მიხედვით ნათლად ჩანს თუ რა ცოდნასა და უნარებს უნდა ფლობდეს მაგისტრი. მან დამატებით აღნიშნა, რომ იმპერატიული მოთხოვნა კვლევით კომპონენტზე არსად არ არის. გამომდინარე აქედან, კვლევითი უნარების განვითარება ხდება სხვადასხვა სასწავლო კურსების მეშვეობით. დაწესებულება მიიჩნევს, რომ პროგრამა და მისი სასწავლო კურსები შესაბამისობაშია ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოსთან.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაღანიძემ, დააზუსტა თუ რატომ არ იყო საჭირო შრომის ბაზრის მიმოხილვაში გამოკითხულთა ვინაობის მითითება, რადგან აღნიშნული ინფორმაცია მეტად ვალიდურსა და საინტერესოს გახდიდა მიმოხილვას.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ აღნიშნა მე-5 სწავლის შედეგი, სადაც მოცემული იყო, რომ სტუდენტს შეუძლია კვლევის განხორციელება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა რომელი სამიზნე ნიშნული იყო შერჩეული მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და თვლის თუ არა დაწესებულება, რომ სტუდენტი, რომელიც ბრენდინგით არის დაინტერესებული და სტუდენტი რომელიც პრაქტიკას გაივლის პოლიტიკურ პარტიებთან გავიდოდა თუ არა ერთსა და იმავე სწავლის შედეგზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია ვაჭარაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავება არ მომხდარა ერთპიროვნულად, ის პირები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავებაში, შეჯერდნენ, რომ პროგრამა ყოფილიყო მარკეტინგისა და რეკლამის მიმართულებით. პროგრამა და მისის სასწავლო კურსები სრულიად შესაბამისობაშია კვალიფიკაციის მოთხოვნებთან, შესაბამისად, პროგრამას ნამდვილად ჰქონდა არსებობის საშუალება.

ნათია ვაჭარაძემ განმარტება გააკეთა პლაგიატის საკითხთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მაგისტრატურის დებულებაში არ იყო აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული, თუმცა მოცემული საკითხი შედიოდა ეთიკის კომისიის უფლებამოსილებაში და აღწერილი იყო პროცესი საფეხურების მიხედვით. დოკუმენტი ასევე ხელმისაწვდომი იყო დაწესებულების ვებგვერდზეც. მან აღნიშნა, რომ ნაშრომი თავდაპირველად იგზავნება დეკანატში, ხოლო შემდეგ იგზავნება პროგრამის ორგანიზატორთან და ხდება ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე. მიღებული შედეგები უბრუნდება დაწესებულებას. მნიშვნელოვანია ასევე რომ დეტალურად არის განსაზღვრული დასაშვები პროცენტული მაჩვენებელი.

საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ 0414 არ მოიცავდა პიარ ტექნოლოგიების საკითხებს. 0414 შეისწავლის ორგანიზაციებს ან ინდივიდებს შორის პროდუქტისა და მომსახურეობის გაცვლის ხელშეწყობას, ასევე მომხმარებლების ქცევასა და მოთხოვნილებებს. მან განაცხადა, რომ პროგრამა არ შეესაბამებოდა მითითებულ კვალიფიკაციასა და კლასიფიკატორს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ პრობლემას არ წარმოადგენდა პროგრამის შინაარსი. თუ პროგრამა ამზადებდა პიარტექნოლოგიების სპეციალისტს, უნდა არსებობდეს ასევე პრე რეკვიზიტი, მინიმალური ცოდნა საზოგადოებრივ დონეზე, კერძოდ ეკონომიკა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, თავად პიარ სტრატეგია. აღნიშნული საკითხები განსაზღვრული უნდა იყოს სავალდებულო სასწავლო კურსების სახით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია ვაჭარაძემ განმარტა, რომ 0312 - პოლიტიკური მეცნიერებების და მოქალაქეობრივი საფუძვლების ნაწილში არ იყო გათვალისწინებული პიარ ტექნოლოგიების საკითხები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ თუ დაწესებულებას სურდა. რომ პროგრამა გადიოდეს 0414 - მარკეტინგი და რეკლამა კვალიფიკაციაზე, აუცილებელია პროგრამა მაქსიმალურად შესაბამისობაში მოვიდეს აღნიშნულ კვალიფიკაციასთან, ამისთვის კი რიგი ცვლილებების განხორცილება იქნება საჭირო.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ მოუწოდა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, სამაგისტრო ნაშრომის გარეშე გადიოდა თუ არა კვლევით შედეგებზე პროგრამის კურსდამთავრებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატალია თვალჭრელიძემ განმარტა, რომ პროექტი მოითხოვდა ცვლილებას, კერძოდ აუცილებელია დაემატოს კვლევითი ნაწილი, რათა შემდგომ გავიდეს კვლევითი კომპონენტის შედეგებზე. მხოლოდ ანგარიშითა და პროექტით პროგრამა მოცემულ შედეგზე ვერ გავიდოდა.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაღანიძემ დაწესებულებას მოუწოდა დაეზუსტებინა ხვედრითი წილი იმ პროფესორებისა, ვინც ასწავლიდა სავალდებულო საგნებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ მკერვალიშვილმა აღნიშნა, რომ სავალდებულო საგნებს ასწავლიდნენ დარგის სპეციალისტები, რომლებიც არიან პიარის მენეჯერები. პიარის კუთხით დაწესებულებას ჰყავდა სპეციალისტები. საჯაო გამოსვლას კითხულობდა გიორგი თარგამაძე. აკადემიური პერსონალის ჩართულობა საკმაოდ მაღალი - 50%-ია. დაწესებულებას ამ კუთხით ასევე დაცული ჰქონდა გენდერული ბალანსიც. პროგრამას ახორციელებდნენ დარგის

სპეციალისტები, მათ შორის დარგის წარმომადგენლები. პოლიტიკურ ეკონომიკას კითხულობდა ვახტანგ მაისაია. კომუნიკაციის ფსიქოლოგიას - ზურაბ მხეიძე, თანამდროვე პოლიტიკის ფილოსოფიას-ზაზა ფირალიშვილი, კვლევის მეთოდებს- კობა თურმანიძე.

საბჭოს წევრმა, ეკატერინა ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ ბიზნეს ადმინისტრირების ჭრილში პროგრამა არ იყო შესაბამისი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია ვაჭარაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა შემუშავებული იყო პიარის საფუძვლებზე დაყრდნობით. პროგრამის სასწავლო კურსები ფოკუსირებული იყო პოლიტიკურ პიარ ტექნოლოგიებზე და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე. მნიშვნელოვანია ასევე, რომ მართვისა და მენეჯმენტის საკითხები ინტეგრირებული იყო რიგ სასწავლო კურსებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:38
დასრულების დრო: 18:40

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ: პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭომ 1.1 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია და 1.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.2 კომპონენტის შეფასება დარჩა უცვლელი, 2.2. კომპონენტი „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, 2.4 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.6 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.2 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. მეხუთე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ 5.1; 5.2, და 5.3 კომპონენტებში დაამატა რეკომენდაციები.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაცია:

1. პროგრამის სწავლის მიზნები და შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;

2. აუცილებელია, სასწავლო გეგმაში დაემატოს სამაგისტრო ნაშრომი შესაბამისი კრედიტების მოცულობით;
3. აუცილებელია რიგ სილაბუსებში ფინალური დავალება სამაგისტრო დონის ადექვატური გახდეს.
4. რეკომენდებულია, სამაგისტრო პროექტი სტუდენტის ინდივიდულური ნაშრომი იყოს, რათა გაადვილდეს შეფასების პროცესი;
5. რეკომენდირებულია, მაგისტრატურის არსებულ დებულებაში დეტალურად გაიწეროს კომისიის დაკომპლექტების წესი, ვადები და სხვა.
6. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის პროფესიული და კვლევითი უნარების განვითარების მკაფიო მექანიზმის შემუშავება და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება ამ მექანიზმების შესახებ;
7. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოახდინოს პროგრამის საკანონმდებლო მოტხოვნებთან შესაბამისობის შეფასება;
8. პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის მიზნით, მოძიებულ იქნეს უცხოური პროგრამა/პროგრამები;
9. რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებამდე ჩატარებულ იქნეს მონიტორინგი და სამუშაოები, პროგრამის შინაარსის, მიზნებისა და შედეგების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარცოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

რჩევები:
10. სასურველია, გადაიხედოს შეფასების მეთოდები და სადაც საგნის სპეციფიკა იძლევა საშუალებას, ჩანაცვლდეს წერითი გამოცდით, რათა შეფასების მეთოდები უფრო გამჭვირვალე გახდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის "პოლიტიკური პიარტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის „პოლიტიკური პიარტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას კენჭისყრის შედეგად, თექვსმეტი ხმით არცერთი ხმის წინააღმდეგ, უარი ეთქვას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	24.09.2012 წელი N423
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	0715 - მექანიკა და ლითონის საქმე
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N77, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა მესამე საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის, თავმჯდომარე, მამუკა ბენაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის „მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“ შემოწმება განხორციელდა 2021 წლის 22-23 თებერვალს ეგრედწოდებულ ჰიბრიდულ რეჟიმში. მატერიალურ ტექნიკური ბაზების დათვალიერება მოხდა უნივერსიტეტში, ხოლო შეხვედრები ჩატარდა ZOOM-ის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. აკრედიტაციისათვის წაროდგენილი იყო 1 საბაკალავრო და 1 სადოქტორო პროგრამა, შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზების დათვალიერება და შეხვედრები მიმდინარეობდა ორივე პროგრამაზე პარალელურ რეჟიმში. შეხვდრები გაიმართა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებელთან, კურსდამთავრებულთან და სტუდენტებთან. შეხვედრები ჩატარდა მშვიდ და სამუშაო გარემოში.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1.აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდებაპროგრამის პოპულარიზაცია;
2. დაზუსტდეს სასწავლო კურსებზე: ჰიდრავლიკის საფუძვლები, მასალათა გამძლეობა, თერმოდინამიკა და თბოგადაცემა დაშვების წინაპირობები;

3. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევების დაფინანსება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე მიმოიხილა პროგრამისთვის განსაზღვრული რჩევები:

1.მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტთა ინფორმირებულობას გაცვლითი პროგრამების დადებითი მხარეების, მისი მნიშვნელობის გასაცნობად, ამასთან გაიზარდოს აგიტაცია გაცვლით პროგრამებით უფრო მეტი სტუდენტის დასაინტერესებლად და მათში მონაწილეობის მისაღებად;
2. მანქანათა ნაწილების და ამწე სატრანსპორტო მანქანების, ტექნიკური გაზომვების, მექანიკის ინჟინერიის ტექნოლოგიური პროცესების ლაბორატორიების უსაფრთხოების წესები ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებისათვის ქართულ ენაზე, განთავსდეს ლაბორატორიებში თვალსაჩინო ადგილზე;
3. განახლდეს მანქანათა ნაწილების და ამწე სატრანსპორტო მანქანების, ტექნიკური გაზომვების, მექანიკის ინჟინერიის ტექნოლოგიური პროცესების ლაბორატორიები;
4. ინტერნაციონალიზაციის სეგმენტის გაძლიერება;
5. ფინანსური რესურსების გაზრდა პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დავით მახვილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პირველი კორპუსი გამოირჩევა თანამედროვე ინფრანსტრუქტურითა და ლაბორატორიებით.

დავით მახვილაძემ განმარტება გააკეთა ინტერნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად შექმნილი იყო სათანადო პირობები. არსებობდა როგორც მატერიალური, ასევე ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებში განსაზღვრული იყო ,,ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება“ და ,,ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“, რომელთა წარმატებით განხორციელება ძირითადად დაფუძნებული იყო უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური /სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, საგანმანათლებლო და კვლევითი/სამეცნიერო პროცესის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობისათვის შემუშავებული პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და სტრატეგიით“.

დავით მახვილაძემ განმარტება გააკეთა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ტექნიკური უნივერსიტეტი მიმართავს ყველა შესაძლებლობას. აღნიშნული მოიცავდა როგორც ღია კარის დღეებს, ასევე რეკლამებსა და ბროშურებს. დაწესებულება ასევე აქტიურად მუშაობდა რებრენდინგზე. თავის მხრივ ტექნიკური უნივერსიტეტი სრულიად უფასოდ ახორციელებდა მათემატიკა-ფიზიკისა და მათემატიკა-ქიმიის ბლოკ საგნებს აბიტურიენტებისათვის. რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში საქართველოს მასშტაბით ყველა აბიტურიენტს შეუძლია სრულიად უფასოდ შეისწავლოს მოცემული საგნები.

რაც შეეხება სასწავლო კურსებთან მიმართებაში წინაპირობების დაზუსტებას, დაწესებულება სრულად იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ აღნიშნულ რეკომენდაციას და შესაბამისად განხორციელდა აუცილებელი ცვლილებები.

დავით მახვილაძემ განმარტება გააკეთა ასევე ბიუჯეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს მოცემული საკითხის მოსაწესრიგებლად გააჩნდა დამოუკიდებელი ფინანსური რესურსები. უპირატესობა ენიჭებოდა იმ მიმართულებას, სადაც ხდებოდა სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო აქტივობებში. ფაკულტეტის საბჭოზე კონკრეტული პროფესორი ასაბუთებდა კვლევის საჭიროებას და იმ შემთხვევაში თუ ფაკულტეტის საბჭო მიზანშეწონილად ჩათვლიდა საკითხს, აღნიშნული წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით მტკიცდებოდა და გამოიყოფოდა შესაბამისი ბიუჯეტი. თუმცა რიგ შემთხვევებში საკითხი წყდება მხოლოდ ფაკულტეტის საბჭოს მიერ. მან დამატებით აღნიშნა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში არც ერთი ინიციატივა არ ყოფილა უკუგდებული, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, რადგან დაწესებულება ამ კუთხით მუდმივად გამოთქვამდა მზაობას. საყურადღებოა ასევე, რომ

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და დააზუსტა, რომ 2.1 კომპონენტში პროგრამის პოპულარიზაციის საკითხი რამდენად წარმოადგენდა რეკომენდაციას, ანუ თუ დაწესებულებამ არ მოახდინა პროგრამის პოპულარიზაცია მაშინ არსებობდა თუ არა შედეგებზე გასვლასთან დაკავშირებით პრობლემები. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით აღნიშნულ რეკომენდაცია რჩევის ხასიათიჰქონდა. გიორგი ღაღანიძემ, ასევე მოუწოდა ექსპერთა ჯგუფს 2.2. კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კვლევის ფარგლებში გამოკითხული იყო 17 რესპოდენტი და იგივე კვლევა მეორდებოდა სადოქტორო პროგრამის შემთხვევაშიც. შესაბამისად მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები პროგრამასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყო სტანდარტებით. რეკომენდაცია უნდა იყოს გადამოწმება დი. რაც შეეხება თვითშეფასების ანგარიშს, მისი მოსაზრებით, პროგრამა საკმაოდ კარგად იყო აგებული. აქედან გამომდინარე, რამდენად წარმოადგენდა რეკომენდაციას ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების ქართულ ენაზე განსაზღვრა. საბჭოს წევრის აზრით, აღნიშნული უფრო რჩევის ხასიათს ატარებდა. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ამავე საკითხებთან დაკავშირებული სამაგისტრო პროგრამაც.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა დააზუსტა თუ სად გადიოდნენ სტუდენტები პრაქტიკებს და დასაქმების კუთხით სად იყვნენ გადანაწილებულნი. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ლაბორატორიების ფოტოები საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. თუმცა დაინტერესდა მოხდა თუ არა ექსპერტების მხრიდან საკითხის შესწავლა პერსონალის გადამზადების კუთხით.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძე დაინტერესდა თუ რა ღონისძიებებს გეგმავდა დაწესებულება პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მამუკა ბენაშვილმა 2.1 კომპონენტთან დაკავშირებით განმარტა, რომ სტუდენტებთან გასაუბრების, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობიდან, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობიდან, სტუდენტების ეროვნულ გამოცდაზე დაგროვილი ქულებიდან და სწავლის პროცესში მათი აკადემიური მოსწრების ქულებიდან გამომდინარე ექსპერტთა მოსაზრებიტ ნათელი იყო, რომ პროგრამაზე დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები ირიცხებოდნენ, რასაც თავის მხრივ გავლენა ჰქონდა და ართულებდა პროგრამით გაწერილი ცოდნისა და უნარების მიღწევას. იმისათვის, რომ დაწესებულებას ჰქონდეს კარგი პროგრამა, რომელიც გავა შედეგებზე საჭიროა კარგი აბიტურიენტები, კარგი პედაგოგები და კარგი ინფრასტრუქტურა.

დავით მახვილაძემ პრე რეკვიზიტის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებდა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრულ კრედიტებს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები დალაგებული იყო ლოგიკური თანმიმდევრობით, ზოგადიდან კერძოსკენ და მარტივიდან რთულისკენ. სასწავლო გეგმაში მოცემული იყო ინფორმაცია სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ჰიდრავლიკის საფუძვლების წინაპირობად ზოგადი ფიზიკა 2-ის მითითება არ იყო გამართლებული, მასალათა გამძლეობის წინაპირობა უნდა იყოს თეორიული მექანიკა (სტატიკა) და ზოგადი ფიზიკა 1, თერმოდინამიკა და თბოგადაცემის წინაპირობა უნდა იყოს ზოგადი ფიზიკა 1.

დავით მახვილაძემ, შრომის ბაზრის კვლევის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კვალიფიკაცია ნამდვილად მოთხოვნადი იყო. იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტები კარგად იცნობდნენ შრომის ბაზარს, ბაკალავრიატისა და დოქტორანტურის საფეხურზე ერთი და იმავე კვლევის წარმოდგენა არ იქნა შეფასებული ხარვეზად.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა არსებობდა თუ არა პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები. რამდენად არის შესაძლებელი დაწესებულებას დავავალდებულოთ ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული აბიტურიენტების ცოდნის შემოწმება. ასევე საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მარკეტინგული სტრატეგიის შემოწმება და ამ კუთხით რეკომენდაციების გაცემა უფრო მეტად ავტორიზაციის საკითხს წარმოადგენდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ, მამუკა ბენაშვილმა განაცხადა, რომ მისი აზრით პროგრამისთვის არსებობდა სამი საკვანძო საკითხი, რომელთა გარეშეც შედეგებზე გასვლა საკმაოდ რთული იქნებოდა. თუკი დაწესებულებას ეყოლება სუსტი კონტიგენტი, ის შედეგზე ვერ გავა. მოცემული რეკომენდაცია საჭიროა იმისთვის, რომ დაწესებულებამ შეძლოს სწავლის შედეგებზე გასვლა. პრობლემა არის საკმაოდ ღრმა და მხოლოდ პოპულარიზებით აღნიშნული ვერ მოგვარდება.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ დააზუსტა განიცდიდა თუ არა პროგრამა კონტიგენტის სიმცირეს.
ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა განმარტა, რომ პოპულარიზებით ხდებოდა კონტიგენტის და შესაბამისად პროგრამაზე კონკურენციის გაზრდა. სტუდენტების მხრიდან საკმაოდ დაბალი

იყო პროგრამით დაინტერესება, რაც ნიშნავს იმას, რომ მინიმალური ზღვარის გადალახვის შემდეგ პირველ პრიორიტეტად პროგრამის არჩევის შემთხვევაში აბიტურიენტები ავტომატურად ხვდებიან პროგრამაზე.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა თუ რამდენად იყო კავშირში მოცემული მდგომარეობა პროგრამის ხარისხის შეფასებასთან. გადის თუ არა პროგრამა მარკეტინგის სტრატეგიის გარეშე სწავლის შედეგებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მამუკა ბენაშვილმა განმარტა, რომ პროგრამას ჰყავდა ნამდვილად პროფესიონალი პედაგოგები, რომლებიც ენერგიას არ დაიშურებდნენ სტუდენტებისთვის, თუმცა ცხადია, რომ სუსტი აბიტურიენტების შედეგებზე გაყვანა საკამოდ გართულდება.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ დააზუსტა გადიან თუ არა სტუდენტები სწავლის შედეგებზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა გადის სწავლის შედეგებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ მარკეტინგული მხარე და პროგრამის პოპულარიზაცია არ წარმოადგენდა აკრედიტაციის სტანდარტს. დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია მიღო რჩევის სახით. დაწესებულება მუდმივად ცდილობს ინტერნაციონალიზაციის საკითხის განვითარებას. მან დამატებით აღნიშნა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები შრომის ბაზარზე საკამოდ დიდი წარმატებით სარგებლობდნენ. დაწესებულება ყველაფერს აკეთებდა მაქსიმალური განვითარებისთვის.

დავით მახვილაძემ ლაბორატორიაში ქართული წარწერების არსებობასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ დაწესებულება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ეთანხმებოდა ექსპერტებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს თანამდეროვე ლაბორატორიები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტის სწავლის შედეგებზე გასვლას.

დავით მახვილაძემ ყურადღება გაამახვილა შრომის ბაზრის კვლევის საკითხზე, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად იყო ორიენტირებული იმაზე, რომ საგანმანათლებლო პროცესი, სწავლის შედეგი და შრომის ბაზრის მოთხოვნები იყოს თავსებადი, რასაც ადასტურებდა დასაქმების მაღალი პროცენტი.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებისას ინტენსიურად იქნა გამოყენებული უცხოური გამოცდილება და პრაქტიკა. პროგრამა მოქცეული იყო საერთაშორისო სტანდარტების ჩარჩოში. რაც შეხება აბიტურიენტების საკითხს, მუდმივად ხდება პროგრამაზე გამოცხადებული თავისუფალი ადგილებს შევსება. მნიშვნელოვანია ასევე რომ ლაბორატორიული რესურსი საჭიროებდა განახლებას, რაზეც დაწესებულება აუცილებლად იზრუნებდა.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ ნებისმიერი სასწავლო კურსის სილაბუსი, ბოლონიის პროცესის მიხედვით მორგებული უნდა იყოს იმაზე, რომ საშუალო დონის სტუდენტი გაიყვანოს სწავლის შედეგებზე. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა ახალ ლაბორატორიებთან მიმართებით ხდებოდა თუ არა აკადემიური პერსონალის გადამზადება.

დავით მახვილაძემ განმარტა, რომ დაწესებულება აღნიშნული მიმართულებით მუდმივად მუშაობის პროცესში იყო. ლაბორატორიული პერსონალი საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონეა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:02
დასრულების დრო: 20:22

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:
1. განახლდეს მანქანათა ნაწილების და ამწე სატრანსპორტო მანქანების, ტექნიკური გაზომვების მექანიკის ინჟინერიის ტექნოლოგიური პროცესების ლაბორატორიები 32 მანქანათა ნაწილების და ამწე სატრანსპორტო მანქანების, ტექნიკური გაზომვების, მექანიკის ინჟინერიის ტექნოლოგიური პროცესების ლაბორატორიების უსაფრთხოების წესები ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებისათვის ქართულ ენაზე, განთავსდეს ლაბორატორიებში თვალსაჩინო ადგილზე;
2. .პროგრამის ბიუჯეტში წარმოდგენილი იქნეს აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევების და პერსონალის განვითარების დაფინანსების გეგმა.

რჩევები:
3. სასურველია, აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება-პროგრამის პოპულარიზაცია;
4. სასურველია. ყურადღება გამახვილდეს მექანიკის ინჟინერიის ისეთ მიმართულებებზე, რომლებიც არიან მოთხოვნადი თანამედროვე ბაზარზე;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	28.09.2012 წელი N515
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	0715 - მექანიკა და ლითონის საქმე
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60 კრედიტი (სასწავლო კომპონენტი)
14	განხორციელების ადგილი	

		მ. კოსტავას ქ. N77, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა მეოთხე საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის „მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“ შემოწმება განხორციელდა 2021 წლის 22-23 თებერვალს ეგრედწოდებულ ჰიბრიდულ რეჟიმში. მატერიალურ ტექნიკური ბაზების დათვალიერება მოხდა უნივერსიტეტში, ხოლო შეხვედრები ჩატარდა ZOOM-ის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. აკრედიტაციისათვის წაროდგენილი იყო 1 საბაკალავრო და 1 სადოქტორო პროგრამა, შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზების დათვალიერება და შეხვედრები მიმდინარეობდა ორივე პროგრამაზე პარალელურ რეჟიმში. შეხვდრები გაიმართლა ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელძღვანელებთან, ხარისხის უზუნველყოფის 4 სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებელთან, კურსდამთავრებულთან და სტუდენტებთან. შეხვედრები ჩატარდა მშვიდ და სამუშაო გარემოში.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:
1.პროგრამის მიზნები იქნეს უფრო მკაფიოდ და მარტივად ფორმულირებული;
2.„სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სასწავლო კურსის „მანქანათმშენებლობის“ დასახელება შეიცვალოს „სამრეწველო ტექნოლოგიური მანქანების“ სახელწოდებით;
3. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საკითხი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ბიუჯეტში საერთოდ არ არის გათვალისწინებული დოქტორანტების სამეცნიერო კვლევების დაფინანსების ხარჯები. დოქტორანტები და მათი ხელმძღვანელები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ კვლევები, რომელიც ტარდება მათ სადისერტაციო ნაშრომების ფარგლებში არ საჭიროებს დიდ ფინანსურ ხარჯებს და სრულიად საკმარისია ფაკულტეტზე არსებული რესურსი. თუმცა ექსპერთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ბიუჯეტში აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს სადოქტორო კვლევის და ასევე პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ხარჯები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე მიმოიხილა დასკვნაში არსებული რჩევები:
1.პროგრამაში გამოყენებული ტერმინი „სასწავლო კურსის პროგრამა“ შეიცვალოს სილაბუსით;
2. მკაფიოდ ჩამოყალიბდეს საფაკულტეტო დროებითი კომისიის მიერ, დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატთან მიმართებით, რეკომენდაციის მიცემის ან უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები;
3. გაფართოვდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი;
4. სასწავლო კომპონენტის სავალდებულო კურსებში გათვალისწინებული იქნას სემინარები;
5. განახლდეს მექანიკის ინჟინერიის კვლევებისათვის საჭირო გამზომი აღჭურვილობა;
6. ფინანსური რესურსების გაზრდა პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პრობლემა არ მდგომარეობდა შინაარსთან დაკავშირებით. თუმცა დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტთა მოსაზრებას და შესაბამისად რეკომენდაცია მაქსიმალურად იქნებოდა გათვალისწინებული.

დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ მეორე რეკომენდაციას კონკრეტული სასწავლო კურსის სახელის ცვლილებასთან

დაკავშირებით, კერძოდ: .„სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სასწავლო კურსის „მანქანათმშენებლობის“ დასახელება შეიცვალოს „სამრეწველო ტექნოლოგიური მანქანების“ სახელწოდებით;

დავით მახვილაძემ განმარტება გააკეთა ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დოქტორანტურის საფეხურზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დაფინანსება. შესაბამისად, უნივერიტეტმა დოატქორანტურის საფეხურზე სამეცნიერო კვლევების დაფინანსება გაზარდა.

დავით მახვილაძემ განმარტება გააკეთა ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრულ მე-2 რჩევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ჩარიცხვის წინაპირობების საუკეთესო ვერსია. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და ითვალისწინებს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაზე მიღებას. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით. მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის 07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა შესაბამისი განათლების, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.). პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება. ასევე უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ს საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტს, რომელსაც გავლილი აქვს უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ინგლისურენოვანი პროგრამა სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება. ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა თუ რამდენად რელევანტური იყო საბაკალავრო და სადოქტორო საფეხურზე ერთი და იგივე შრომის ბაზრის კვლევის არსებობა.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ იგი გაეცნო სამივე დისერტაციას და ძირითადად გამოყენებული ლიტერატურა იყო რუსული, 70-90-ანი წლების სახელმძღვანელოები. ერთ ერთ დისერტაციაში კი მითითებული იყო 1959 წლის ლიტერატურა, ,,ბრტყელი მექანიზმები სინთეზი:. შესაბამისად დაინტერესდა, თუ რამდენად რელევანტური იყო მსგავსი მემთხვევა,

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, აღნიშნა ექსპერტების მიერ განსაზღვრული მე-5 რჩევა და დააზუსტა მექანიკის ინჟინერიის კვლევებისათვის საჭირო გამზომი აღჭურვილობა საკმარისი იყო თუ რჩევა ზოგადი ხასიათის იყო.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ დააზუსტა თუ რა ძირითადი სამეცნიერო მიმართულებები იყო პროგრამაში გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა ყურადღება გაამახვილა სასწავლო კურსზე ,,სწავლების შედეგები და განათლების მენეჯმენტი“ და დაინტერესდა თუ რამდენად

დაფარვადია განათლების მენეჯმენტიც და სწავლების შედეგებიც ერთ სასწავლო კურსში. ასევე დააზუსტა თუ რამდენად იძლევა სილაბურში მითითებული ლიტერატურა ორივე კომპონენტის სწავლებას.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, გადიოდა თუ არა ორი არჩევითი საგნით პროგრამა სწავლის შედეგებზე.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ სია დაცული დისერტაციებისა მოიცავდა 16 დისერტაციას, თუმცა გამოთხოვილი დისერტაციების რაოდენობა იყო სამი, ხოლო თვითშეფასებასის დოკუმენტში მითითებული იყო ორი კურსდამთავრებული, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენ დოქტორანტს ჰქონდა დაცული დისერტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მამუკა ბენაშვილმა განმარტა, რომ ,,ბრტყელი მექანიზმების სინთეზი“ მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომლებიც დროში არც იცვლება და რჩება მუდმივად. შესაბამისად ექსპერტებმა მოცემული ლიტერატურის გამოყენება არ მიიჩნიეს ხარვეზად. თუმცა ნამდვილად დიდი რაოდენობით იყო გამოყენებული რუსული ლიტერატურა.

მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ ტექნოლოგიებთან ერთად ვითარდებოდა აღნიშნული გამზომი ხელსაწყოებიც. არსებული აღჭურვილობით რა თქმა უნდა შესაძლებელი იყო პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა, თუმცა აუცილებელია აღჭურვილობის განახლება.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა მიმართულებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის კვალიფიკაციაა მექანიკა და ლითონის საქმე, რის მიხედვითაც დაცული იყო დისერტაციები. ზოგადად პროგრამაში ჩართული პერსონალიც სწორედ მოცემული მიმართულებით იყო დასაქმებული.

ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა ასევე ისაუბრა არჩევით კურსებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამა წარმოდგენილი სახით ნამდვილად გადიოდა სწვალის შედეგებზე, თუმცა რეკომენდაციის მიხედვით საუბარი იყო კვლევითი თემატიკის შეზღუდვასთან, ტექნოლოგიური პროცესების კვლევა პროგრამით ფაქტობრივად შეზღუდული იყო, მაშინ როცა აღნიშნული ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა. შესაბამისად, არჩევითი კურსებისა და სემინარების საშუალებით შესაძლებელია მოცემული მიმართულება გაძლიერდეს. მან დამატებით აღნიშნა, რომ მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებოდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის 07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა Engineering, შესაბამისი განათლების, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებდა დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს. საფაკულტეტო დროებითი კომისია განიხილავდა დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატთა განცხადებებს, აწყობდა მათთან გასაუბრებას და იღებდა გადაწყვეტილებას დოქტორანტურაში ჩასარიცხავად რეკომენდაციის მიცემის ან უარის შესახებ მაგრამ მან დამატებით აღნიშნა, რომ მკაფიოდ განსაზღვრული არ იყო გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მოცემული სადოქტორო პროგრამა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო და ეფუძნებოდა იმ საუკუნოვან პოტენციალს, რაც ტექნიკურ უნივერსიტეტში იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სახეზე იყო ტექნიკური ხარვეზი. დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს გამოიკვლიოს შრომის ბაზარი. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა კვლევის ფარგლებში 17 რესპოდენტის არსებობა.
რაც შეეხება რუსულენოვან სახელმძღვანელოების სიმრავლეს, აღნიშნული საკითხი ასევე იდენტიფიცირებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. სწორედ ამიტომ მიღების წინაპირობაში დაწესებულების მხრიდან მოთხოვნილი იქნა საკმარისი დონის ინგლისური ენის ცოდნა, რაც მომავალში უზრუნველყოფს იმას, რომ კვლევებში გამოყენებული იყოს ინგლისურენოვანი ლიტერატურა და წყაროები.

დავით მახვილაძემ განმარტება გააკეთა კომისიის შეფასების კრიტერიუმის საკითხზე, კერძოდ მან აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად ცდილობდა კრიტერიუმები მიუახლოვოს იდეალურ ვერსიას. აღსანიშნავია, რომ პრეზენტაციის გარდა განსაზღვრული იყო ასევე სამეცნიერო პროექტი, თავისი კრიტერიუმებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, თამაზ მჭედლიშვილმა განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამაში გაერთიანებული იყო 5 დეპარტამენტი. სამუშაოები ხორციელდებოდა მანქანების, მანქანების ოპტიმიზაციის ავტომატური მანქანების, ტექნოლოგური მანქანებისა და ტექნოლოიური პროცესების მიმართულებით. პირველი მიმართულების თეორიულ საფუძველს წარმოადგენდნენ დინამიკური ანალიზის და მრავალკრიტერიული მრავალპარამეტრული სინთეზის ორიგინალური გამოყენებითი თეორიები. შემუშავებული თეორიები ორიენტირებული იყო განსახილველი (მექანიკური, ელექტრომექანიკური, ელექტროჰიდრო-ელექტროპნევმო მექანიკური და ციფრული ავტომატიკის ელემენტებით აღჭურვილი) სისტემების ფართო კლასზე, სისტემათა მექანიკურ ნაწილში დრეკადობის და ღრეჩოების, სისტემათა ჰიდრომექანიკურ და პნევმომექანიკურ ნაწილებში სპეციფიკური არაწრფივობის გათვალისწინებით. თეორიულ საფუძვლებს წარმოადგენენ კვლევებში გამოყენებული ცნობილი საინჟინრო თეორიებზე აგებული მეთოდები და მეთოდიკები. დინამიკური კვლევის შემუშავებული ორიგინალური ინჟინრული თეორიის გამიყენების საფუძველზე შემოთავაზებულია კონკრეტული სახის საანგარიშო მეთოდები და მეთოდიკები, და მათი გამოყენებით ნაწილობრივ პრაქტიკულად რეალიზებულია მრავალი სახის ამძრავთა სისტემების და მთლიანობაში მანქანა-დანადგარების ახალი მაღალეფექტური სტრუქტურული და კონსტრუქციული სქემები. ორიგინალური თეორიული მიდგომების საფუძველზე განხორციელებულია ცნობილი სქემების შემდგომი სრულყოფა, ჩატარებულია მანქანათა სისტემების ეფექტური მოდერნიზაცია. აღნიშნული მიდგომების თანახმად შემუშავებულია და დანერგილია მაღალეფექტური საჩარხო სისტემები.

რაც შეეხება ძველი ლიტერატურის საკითხს, აღნიშნული წარმოადენდა კლასიკას, რომელსაც დაწესებულება ეყრდნობა. თუმცა გამოყენებული იყო ასევე თანამდეროვე ლიტერატურაც. ძველი ლიტერატურის მოხმარება განაპირობა იმან, რომ ნათელი ყოფილიყო დოქტორანტებისათვის თუ როგორ წესრიგდებოდა საკითხები ძველად და როგორ ვითარდება მოვლენები ამჟამად.

გარდა ამისა პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული იყო 5 ძირითადი სპეციალური საგანი, საიდანაც, მხოლოდ ორს არ ჰქონდა სემინარული ნაწილი, დანარჩენ სამ საგანში კი გათვალიწინებული იყო სემინარული მუშაობა.

რაც შეეხება დისერტაციების საკითხებს, ბოლო 5 წელიწადში დაცული იყო 14 დისერტაცია.

საბჭოს წევრმა გაიოზ ფარცხალაძემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ საგრანტო პროექტებზე. ასევე დააზუსტა ხდებოდა თუ არა ახალი ნაწარმოებების გამოყენება.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ახალი ნაწარმოებების გამოყენება ხდებოდა, გარდა ამისა დაწესებულების წარმომადგენლები და სტუდენტები ჩართულნი იყვნენ არა ერთ კვლევაში. გარდა ამისა დოქტორანტები სარგებლობდნენ რუსთაველის ფონდის გრანტებით.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა პროგრამის მე-9 შედეგი და განმარტა, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესორის ასისტენტობა მოიცავდა 10 კრედიტს და იყო არჩევით ბლოკში, რაც ნიშნავდა იმას, რომ ყველა სტუდენტი არ იყო ვალდებული აერჩია აღნიშნული საგანი. რეალურად სასწავლო კურსი მოცემულ შედეგზე ვერ გავიდოდა. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება თითოეული სტუდენტისათვის მოცემულ მე-9 შედეგზე გასვლას.

საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ მოუწოდა დაწესებულებას ესაუბრა საერთაშორისო დონეზე განხორციელებულ ერთობლივ პროექტებსა და თანამშრომლობებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა რომ ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით დაწესებულების მდგომარეობა საკმაოდ დამაკმაყოფილებელი იყო ექსპერტებისთვის. კერძოდ ძალიან ბევრი დოქტორანტი იყო ჩართული სხვადასხვა პროექტებსა და შრომებში უცხოელ კოლეგებთან ერთად, რაც ნამდვილად შთამბეჭდავი იყო.

ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა ასევე განმარტა, რომ პროფესორის ასისტენტობა, რასაც სილაბუსი მოიცავდა გადიოდა სწავლის შედეგებზე. აღნიშნული დასტურდებოდა ასევე ინტერვიუებით. საყურადღებო იყო ასევე, რომ მოცემული სასწავლო კურსი წარმოადგენდა სავალდებულო საგანს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები წლების განმავლობაში ჩართულები იყვნენ საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში. მნიშვნელოვანი იყო ასევე რომ დოქტორანტები გაგზავნილნი იყვნენ გერმანიაში გაცვლით პროექტებში. დაწესებულება ამჟამად ასრულებს პროექტს, სადაც იქნება 4 ერთმანეთთან დაკავშირებული საწარმო, რომელიც ერთმანეთს ხელს შეუწყობს და გააძლიერებს. აქედან გამომდინარე დოქტორანტებსა და ბაკალავრებს ექნებათ საკმაოდ საინტერსო ბაზა სხვადასხვა მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინა ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ ,,სწავლების შედეგებისა და განათლების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსში, საგნის სახელწოდებასა და შინაარსს შორის იყო აღრევა. განათლების მენეჯმენტი თავად არის ცალკე დარგი და სილაბუსი ვერ ფარავდა იმ საკითხებს, რაც ამ საკითხის ფარგლებში უნდა დაიფაროს. სილაბუსში საუბარი იყო სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაზე და არა განათლების მენეჯმენტზე. ლიტერატურაც ასევე საერთოდ არ იყო კავშირში განათლების მენეჯმენტთან. შესაბამისად, უნდა მოხდეს სასწავლო კურსის სახელწოდების შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანა, ან უნდა მოხდეს განათლების მენეჯმენტის საკითხები შეტანა, რისი საჭიროებაც არ დგას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება აღნიშნული მიმართულებით აგრძელებდა მუშაობას და მაქსიმალურად შეეცდებოდა, რომ სასწავლო კურსის სახელწოდება და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 21:08
დასრულების დრო: 21:42

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები იქნეს ფორმულირებული შრომის ბაზრის რელევანტური კვლევის საფუძველზე;
2. სასწავლო კურსში „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“ სათაური და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში;
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის სილაბუსები და სადისერტაციო ნაშრომები გამდიდრდეს თანამედროვე სამეცნიერო პუბლიკაციით/ლიტერატურით;
4. წარმოდგენილი იქნეს პრესონალის პროფესიული განვითარების გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სადოქტორი საგანმანათლებლო 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

მეხუთე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ეკონომიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა (ინგლისურენოვანი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	0311 - ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის ქუჩა 1, 0102, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა და დიანა მჭედლიშვილმა მეხუთე საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით სიხარულიძე მიესალმა დამსწრე საზოგაოდებას და აღნიშნა, რომ შპს „კავკასიის უნივერისტეტის“ ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი იყო პირველად, თუმცა უსდ-ში ფუნქციონირებდა ეკონომიკის პროგრამა. ამიტომ აკრედიტაციის ექსპერტებმა მხედველობაში მიიღეს ქართულენოვან პროგრამაში და ზოგადად უსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფუქნციონირების შედეგებიც. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელია. პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების ათვისების საფუძველზე კურსდამთავრებულს ენიჭება ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. პროგრამით განსაზღვრული 240 ECTS კრედიტის ათვისების შემდეგ მიღებული ცოდნის და გამომუშავებული უნარების საფუძველზე, კურსდამთავრებულს შეეძლება გააგრძელოს სწავლა მაგიტრატურის საფეხურზე, ან დასაქმდეს საჯარო დაწესებულებაში, არასამთავრობო სექტორში, კვლევით ინსტიტუტებსა თუ კერძო კომპანიებში.

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განხორციელდა დისტანციურად, 2021 წლის 12 მარტს. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დააორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. დისტანციური შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ვიზიტის განმავლობაში უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ დისტანციური რეჟიმის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ეკონომიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1.რეკომენდირებულია გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს (შინაარსის, სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების საფუძველზე) შორის ლოგიკური კავშირი და შესაბამისად განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები;
2. რეკომენდირებულია დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება სწავლის შედეგების უკეთ გაზომვის მიზნით;
3. რეკომენდირებულია პროგრამისა და პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში გაძლიერდეს დაინტერესებული მხარეების, კერძოდ აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ჩართულობა;
4. რეკომენდირებულია ეკონომიკის (ინგლისურ ენოვანი) საბაკალავრო პროგრამის შინაარსის და სტრქუტურის გაუმჯობესება შემდეგი სასწავლო კურსების ,,საერთაშრისო ეკონომიკა“ ან ,,საერთაშორისო ვაჭრობა“, პოლიტიკური ეკონომიკა, ,,შრომის ეკონომიკა”, ,,მონეტარული ეკონომიკა”, ,,ინდუსტრიული ორგანიზაცია”, ,,ეკონომიკური პროგნოზირება” დამატებით.
5. რეკომენდირებული გამოყენებული ლიტერატურის განახლება;
6. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის ,,მონაცემთა ანალიზი და ეკონომიკური მოდელირება“ შინაარსი შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სასწავლო კურსის დასახელებასთან.
7. რეკომენდირებული პრაქტკაზე ორიენტირებული სწავლების (სწავლის მეთოდები და შეფასების სისტემა) გაძლიერება;
8. რეკომენდირებულია, უცხოელი სტუდენტების ინფორმირებისთვის შემუშავდეს სტაჟირების შესაძლებლობის ამსახველი მექანიზმი და დოკუმენტი.
9. რეკომენდირებულია სამეცნიერო კვლევების კუთხით აკადემიური პერსონალის განვითარებისათვის ღონისძიებების გაძლიერება.
10. რეკომენდირებულია ორგანიზაციებთან მემორანდუმებში იყოს მითითებული სტუდენტების რაოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების ეკონომიკის სკოლის დეკანი, იოსებ ბერიკაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში განახლდებოდა სწავლის შედეგების რუკა და მოხდებოდა სამიზნე ნიშნულების, სწავლის შედეგებისა და რუკის ერთმანეთთან თანხვედრის დაზუსტება რიგი სალექციო კურსების შემთხვევაში.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში გადაიხედებოდა პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება იმგვარად, რომ კონკრეტული სალექციო კურსის სწავლის შედეგები მეტად უფრო გაზომვადი სახით ჩამოყალიბდეს.

იოსებ ბერიკაშვილმა განაცხადა, რომ მე-3 რეკომენდაცია მეტწილად დაკმაყოფილებული იყო, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის გაუმჯობესება განგრძობადი პროცესი იყო,

პროგრამის განახლების პროცესში დაინტერესებული მხარეების მეტი ჩართულობა უზრუნველყოფილი იქნება, უნივერსიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად

მნიშვნელოვანია ასევე მე-4 რეკომენდაცია, კერძოდ, ზემოაღნიშნული საგნების ნაწილი უკვე ისწავლებოდა ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში. კერძოდ, სასწავლო კურსები „საერთაშორისო ეკონომიკა“ და „შრომის ეკონომიკა“ გათვალისწინებული იყო სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულში. რაც შეეხება სასწავლო კურსს „მონეტარული პოლიტიკა“, უნდა აღინიშნოს, რომ მონეტარული პოლიტიკის საკითხები უკვე ისწავლებოდა საგნებში „შესავალი მაკროეკონომიკაში“, „მაკროეკონომიკა 1“ და „მაკროეკონომიკა 2“. ასევე, ეკონომეტრიკის სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ეკონომიკური პროგნოზირების საკითხებიც. შესაბამისად, აღნიშნული სასწავლო კურსების დამატებას ამ ეტაპისთვის არამიზანშეწონილად მიიჩნევდა დაწესებულება. თუმცა, ასევე დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით შემოთავაზებული საგნები „ინდუსტრიული ორგანიზაცია“ და „პოლიტიკური ეკონომია“ უფრო მრავალფეროვანს გახდიდა პროგრამას და აპირებს მათ სასწავლო პროგრამაში დამატებას.

იოსებ ბერიკაშვილმა განაცხადა მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულება მუდმივად მუშაობდა ამ კუთხით და აახლებდა ლიტერატურას.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია იზიარებდა რეკომენდაციას და აღნიშნული შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნებოდა დაწესებულების მიერ.
რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა იყენებდა სწავლების ბევრ თანამედროვე მეთოდს, მათ შორის პრაქტიკულ მეთოდებსაც, რომლებიც რეალობაში ხორციელდებოდა აკადემიური პერსონალის მიერ. თუმცა, დაწესებულება ეცდება პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას შესაძლებლობის ფარგლებში.

მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული მექანიზმი ერთნაირად ვრცელდებოდა როგორც ქართველ, ისე უცხოელ სტუდენტებთან მიმართებით. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების მიერ შემუშავებული უცხოელებისთვის დამატებით საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტს.

რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, კავკასიის უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობდა მისი აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას. ამ მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი იყო ბევრი ღონისძიება. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიური პერსონალის განვითარება არის მუდმივი პროცესი, ამ კუთხით უნივერსტეტი გააგრძელებდა მუშაობას.

მნიშვნელოვანია დაწესებულების პოზიცია მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ უნივერსიტეტში დამკვიდრებულია, რომ ახლად გაფორმებულ პრაქტიკის ხელშეკრულებებში მიეთითოს სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა, როგორც აკრედიტაციის სტანდარტებშია მითითებული. აღნიშნული გათვალისწინებული იქნება ყველა ახლად გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მათ შორის, აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ პოზიციები

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაცია საკმაოდ მძიმე იყო, შესაბამისად გიორგი ღაღანიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს კითხვით, თუ რატომ დარჩა აღნიშნული სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაში.

გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, 130 კრედიტი იყო გამოყოფილი საგნებზე ეკონომიკის მიმართულებით, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა გადიოდა თუ არა პროგრამა სწავლის შედეგებზე 130 კრედიტით.

მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა უცხოელი სტუდენტების ინფორმირებისთვის შემუშავდეს სტაჟირების შესაძლებლობის ამსახველი მექანიზმი და დოკუმენტი, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით პროგრამის მიზნებში ინფორმაცია არ იყო გაწერილი.

გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ პროგრამა იყო ინგლისურენოვანი, შესაბამისად პირველივე სემესტრიდან სწავლება მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე, თუმცა პარალელურად ისწავლებოდა ინგლისური ენა. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ. რას ემსახურებოდა 20 კრედიტიანი ინგლისურის სასწავლოს კურსი, ინგლისურენოვან პროგრამაში.

გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ „სტატისტიკა ეკონომისტებისათვის“ და ,,ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლების“ სასწავლოს კურსებს შორის იყო გადაფარვა, კერძოდ დინამიური მწკრივებისა და სტატისტიკური ინდექსების თემატიკები. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა მიზეზით იყო აღნიშნული გამოწვეული.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ პროგრამაში არჩევით კურსად შეტანილი იყო ,,ლიდერობა და გუნდის მართვა“, რომელსაც სხვა პროგრამებში ძირითადად ჰქონდა დაშვების წინაპირობები. თუ პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა ჩათვალა საჭიროდ რომ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს ლიდერობის მიმართულებით გარკვეული კომპეტენციები, მაშინ სხვა მსგავსი სასწავლო კურსები რატომ არ იყო არჩევითი საგნების სახით შეთავაზებული.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, აღნიშნა, რომ ინგლისურენოვან პროგრამაში ინგლისური ენის სწავლების ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა სტუდენტებისთვის, პროფესიული დარგობრივი ინგლისურის სწავლება. გადა ამისა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობებისთვის გამოყოფილი იყო რამდენიმე პუნქტი, კერძოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს გამოცდების გარეშე მიიღებიან B2 დონის ინგლისურით, რაც მისი მოსაზრებით ნამდვილად საჭირო და სწორი იყო. თუმცა ქართული აბიტურიენტებისთვის განსაზღვრული იყო, რომ ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულო იყო ინგლისური ენის ჩაბარება. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ბარდება ინგლისური ენის B1 დონე, მაქსიმალური ქულა არის 80, მინიმალური კი 20%-ზე მეტი. შესაბამისად პროგრამაში არსებული ჩანაწერით, სტუდენტი შეიძლება ჩაერიცხოს პროგრამაზე მიღებული 20 ქულითაც. შესაბამისად, უმჯობესი იქნება ქულა იყოს დაზუსტებული, მაგალითად 50%-ზე მეტი ან B2 დონის ინგლისურის ცოდნა პირდაპირ იყოს მითითებული, რადგან სწავლის შედეგების მიღწევა იყოს მეტად მარტივი.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ აღნიშნა, რომ უცხოელი სტუდენტების შემთხვევაში ჰქონდა თუ არა დაწესებულებას გაკეთებული რაიმე გათვლა, რომელი ქვეყნის კონტიგენტს

ელოდებიან პროგრამაზე და რამდენად არიან ინსტიტუციის პარტნიორები მზად, რომ მიიღონ უცხო ქვეყნის მოქალაქე სტაჟირებაზე. გარდა ამისა საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რატომ არ მოეთხოვებოდაა უცხოელ სტუდენტს ინგლისური.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა საბიბლიოთეკო რესურსთან დაკავშირებით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ თუ არა წვდომა უცხოურ საბიბლიოთეკო ბაზებთან, რომლებიც ძალიან დიდ ფინანსურ რესურს მოითხოვდა და განათლების სამინისტროც უკვე აღარ აფინანსებდა მათ. შესაბამისად, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შეძენილი პაკეტები.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომში მითითებული იყო, რომ ლექციისათვის გამოყოფილი იყო 14 საათი. თუმცა მისი მოსაზრებით გაუგებარი იყო თუ რა დანიშნულება ჰქონდა აღნიშნულ 14 საათს.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომებიდან მხოლოდ ნაწილში იყო დაცული ციტირების წესები, შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა იყო თუ არა დებულებაში გაწერილი ციტირების წესი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების მექანიზმი მოიცავდა სწავლის შედეგების რუკას, ნიშნულებსა და სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროგრამაში, რომელიც იყო წარმოდგენილი დაწესებულების მიერ, იყო მოცემული სწავლის შედეგების რუკა, ასევე სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი და შეფასების რუკა. პროგრამაში წარმოდგენილ სწავლის შედეგების რუკასა და მექანიზმის რუკას შორის იყო გარკვეული დარღვევები. სწავლის შედეგების შინაარსის მიხედვით ზოგიერთი სასწავლო კურსი ვერ გადიოდა იმ კონკრეტულ სწავლის შედეგზე. საყურადღებოა, რომ აღნიშნული არ ეხებოდა ყველა სასწავლო კურსა და სწავლის შედეგს, ამ შემთხვევაში მოხდებოდა სტანდარტის დაწევა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა ერთ წლის ვადაში აღნიშნული საკითხი დაარეგულიროს.
რაც შეეხება სტრუქტურას, ეკონომიკის მხრივ მნიშვნელოვანი საგნები მოცემულია არჩევითი სასწავლო კურსების სახით, შესაბამისად ექსპერტებმა ჩათვალეს რომ საგნები უნდა იყოს სავალდებულო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ვანო ბენიძემ აღნიშნა, რომ პროფესიული ინგლისური პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული იყო და არსებობდა შესაბამისი სილაბუსებიც, კერძოდ პროფესიული ინგლისური 1 და პროფესიული ინგლისური 2., რომელიც კონკრეტულად ეკონომიკური ტერმინების უფრო ფართოდ განმარტებისა და ეკონომიკის უფრო ღრმად შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის წინაპირობად განსაზღვრული იყო ინგლისური, კომპეტენციის არსებობის დადასტურების შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ სხვა უცხო ენის შესწავლა. პროგრამის მიხედვით სავალდებულოა 20 კრედიტიანი კომპონენტი, თუმცა აღნიშნული შეიძლება შეივსოს სხვა უცხო ენებითაც.

რაც შეეხება საგნების გადაფარვის საკითხს, დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა საბჭოს წევრის მოსაზრებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს ხარვეზის გამოსწორებას და სილაბუსებს შორის განსხვავებას.

შესავალი საგნების შესასწავლად სტუდენტებს აქვთ შესაბამისი ინგლისურის ენის ცოდნა, თუმცა შემდეგ კურსებზე გადასვლის შემდგომ ეცოდინებათ უკეთესი ინგლისური, რომელსაც პარალელურად ისწავლიან.
საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა ინგლისური კომპონენტებით სწავლება სანამ არ მიაღწევდნენ სტუდენტები C1 დონეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, იოსებ ბერიკაშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკური საგნებისთვის 130 კრედიტი სრულიად საკმარისი იყო. ასევე არის ზოგად საუნივერსიტეტო საგნები, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ბაკალავრატის დონეზე. დაწესებულება მუდმივად მუშაობდა აქტუალური საგნების დამატებაზე. არსებული მდგომარეობით პროგრამა გადიოდა სწავლების შედეგებზე და საკითხთან დაკავშირებით არ არსებობდა პრობლემები.

რაც შეეხება უცხოელი სტუდენტების საკითხს, დამსაქმებლებთან შეთანხმებული იყო უცხოელი სტუდენტების პრაქტიკის გავლის საკითხი. დამსაქმებლებთან გაფორმებულია იყო ასევე მემორანდუმები.
მნიშვნელოვანია ასვე ბაზების საკითხი, კერძოდ დაწესებულებას საბიბლიოთეკო ბაზები შეძენილი ჰქონდა და შესაბამისად, სტუდენტებს ჰქონდა მათთან წვდომა.

რაც შეეხება ,,ლიდერობის“ სასწავლო კურსს, აღნიშნული არ წარმოადგენდა მაპროფილებელ საგანს, შესაბამისად მისი პრე რეკვიზიტით დატვირთა დაწესებულებამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია. თუმცა სტუდენტს აქვს შესაძლებლობა თავისუფალ კრედიტად აირჩიოს მოცემული სასწავლო კურსი და დაესწროს ბიზნეს სკოლაში მსგავს საგნებს.

მნიშვნელოვანია ასევე საბაკალავრო ნაშრომში მოცემული ლექციების საკითხი. აღნიშნულს არ ჰქონდა ლექციების ფორმატი, იგი გულისხმობდა კონსულტაციებს. იგი წარმოადენს დამრიგებლობით სარეკომენდაციო ხასიათის შეხვედრებს. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომების შემთხვევაში ციტირების სტანდარტები დაცული იყო, თუმცა მნიშვნელოვანია თუ ნაშრომის დებულებაში ჩაიწერება ყველასთვის სავალდებულო კონკრეტული მეთოდი.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები წერენ საბაკალავრო ნაშრომს რომელიც მოწმდება ანტი პლაგიატის პროგრამაში, Turnitin-ის მეშვეობით. ლექტორი ახდენს ნაშრომის შემოწმებას და გასცემს შესაბამის შეფასებებს/რეკომენდაციებს საჭროების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ხელახლა ატვირთოს ნაშრომი პროგრამაში. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში მითიტებულია „ნაშრომის შეფასებაში სტუდენტმა უნდა მიიღოს მაქსიმალური ქულის მინიმუმ 60% - 60 ქულა. საბოლოო შეფასებაში მაქსიმალური ქულის 60%-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში, ნაშრომი ჩაბარებულად არ ითვლება და ეძლევა ხარვეზების გამოსწორების და ერთხელ განმეორებით წარდგენის უფლება.“ საბაკალვრო ნაშრომს აფასებს ხელმძღვანელი (30 ქულა) და კომისია (70 ქულა) წინასწარ განსაზღვრული კომპონენტების შესაბამისად.

რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევის საკითხს, კვლევის მიხედვით, დამსაქმებლების მხრიდან იყო მოთხოვნა ინგლისურის კარგად ცოდნაზე. შესაბამისად, მოთხოვნა ინგლისურენოვან ბაკალავრებზე არსებობს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 22:45

დასრულების დრო: 23:22

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.5 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით სტანდარტების შესაბამისობის შეფასება დარჩა უცვლელი.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაცია:
1. რეკომენდირებულია, ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის შინაარსის და სტრუქტურის გაუმჯობესება (სავალდებულო სტატუსის მინიჭება/პროგრამაში ჩართვა) შემდეგი სასწავლო კურსების „საერთაშრისო ეკონომიკა“ ან ,,საერთაშორისო ვაჭრობა“, ,,პოლიტიკური ეკონომიკა“, ,,შრომის ეკონომიკა“, ,,მონეტარული ეკონომიკა“, ,,ინდუსტრიული ორგანიზაცია“, ,,ეკონომიკური პროგნოზირება“ დამატებით;
2. რეკომენდირებული ზოგიერთ სილაბუსში გამოყენებული ლიტერატურის განახლება;

რჩევები:
3. სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დაზუსტდეს ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტებისთვის ინგლისური ენის ნაწილში, აიწიოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;
4. სასურველია, პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების (სწავლის მეთოდები და შეფასების სისტემა) გაძლიერება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ეკონომიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამიასთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ეკონომიკის" ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:25 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ